სადოქტორო პროგრამის სახელწოდება - თარგმანმცოდნეობა

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: სრული პროფესორი ინესა მერაბიშვილი

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება
მიზანი:
საუკუნეების მანძილზე თარგმანს სოციალურ-კულტურული და საერთაშორისო მნიშვნელობა ენიჭებოდა და იგი ცივილიზაციის თანამგზავრად რჩებოდა მუდამ. ამ თვალსაზრისით საქართველოს მდიდარი ტრადიცია გააჩნია. დასავლეთთან ინტეგრაციის აუცილებლობის პირობებში, რომ აღარაფერი ვთქვათ გაზრდილ საერთაშორისო კონტაქტებზე, საქართველოს ჩართვა ამ პროცესში ფრიად მნიშვნელოვანია თარგმანის გზით.

2005 წლიდან ჩემი ხელმძღვანელობით მუშაობს სამაგისტრო პროგრამა "თარგმანის ხელოვნება" ინგლისური და ქართული ენების ბაზაზე. პროგრამა ეყრდნობა თარგმანის თეორიის თანამედროვე მიმართულებებს და მიზნად ისახავს ღირებული მთარგმნელის, თარგმანის თეორეტიკოსისა და კრიტიკოსის მომზადებას, მითუმეტეს რომ ეს უკანასკნელი ფეხმოუკიდებელი დარგია საქართველოში.

ჩვენი შემდგომი ამოცანაა, მომზადდეს თარგმანის თეორეტიკოსი დოქტორანტურაში, რათა მან განავითაროს ახალი მიმართულება თარგმანმცოდნეობაში და თავისი ნაშრომით შეავსოს არსებული ხარვეზები ამ დარგში. ეს პირველ ყოვლისა ეფუძნება ჩვენს შემდეგ დამოკიდებულებას თარგმანისადმი:

1. თარგმანის კვლევა უნდა წარიმართოს თარგმანის ლინგვისტიკის ძირითად მონაპოვარზე დაყრდნობით.
2. მთარგმნელი, ისევე როგორც თარგმანის თეორეტიკოსი, უნდა აუცილებლად ფლობდეს საჭირო ორ ან მეტ ენას.
3. დოქტორანტი განსწავლული უნდა იყოს იმ ავტორის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, რომლის ტექსტის ანალიზსაც ის ჩაატარებს თარგმანთან მიმართებაში, რაც ნიშნავს ავტორის თეზაურუსის ცოდნას.
4. ამასთანავე, ერთად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ თარგმანს, როგორც კულტურათა დიალოგს.

ამ კუთხით ჩატარებულმა კვლევამ მრავალ სიახლეთა გამოვლენამდე მიგვიყვანა. აღნიშნულ დამოკიდებულებას მიეძღვნა ჩემი ორი მონოგრაფია:
ი. მერაბიშვილი, პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა, თბ., 2005;
ი. მერაბიშვილი, თარგმანი - კულტურათა დიალოგი, თბ., 2005.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:
სადოქტორო პროგრამა გათვალისწინებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი მაძიებლებისა და ასპირანტებისათვის, რომლებზეც ვრცელდება თსუ "დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შესახებ დადგენილების" გარდამავალი დებულებები, კერძოდ:
წინამდებარე სადოქტორო პროგრამით დოქტორანტურაში შეიძლება ჩაირიცხონ თსუ ყოფილი ასპირანტები და მაძიებლები, რომელთაც ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო მინიმუმის ყველა საგანი და აქვთ დამტკიცებული საკანდიდატო თემა ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებით.
კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- საკანდიდატო მინიმუმების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტები;

- ინგლისური ენის B-2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში მაძიებელს მოეთხოვება გამოცდის ჩაბარება უცხო ენაში ზემოთ აღნიშნული ცოდნის დონის შესაბამისი ფორმატით.

განსაკუთრებული პირობები: დოქტორანტების მიერ ექსპერტიზაზე წარდგენილი სტატიების უარყოფითი შეფასების შემთხვევაში:

1. თუ შეფასება არ აღემატება 10 ქულას, მაძიებელი ამოირიცხება დოქტორანტთა სიიდან. მას უფლება აქვს თავიდან ჩააბაროს დოქტორანტურაში და გაიაროს სადოქტორო პროგრამა სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტებით.
2. თუ წარდგენილი სტატიები შეფასდა უარყოფითად, მაგრამ 11-დან 15 ქულამდე, დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადაამუშაოს სტატია, ან თავიდან მოამზადოს ახალი სტატია უარყოფითად შეფასების სანაცვლოდ, რათა კიდევ ერთხელ იქნას გაგზავნილი ექსპერტიტაზე.

დოქტორანტის დასაქმების სფეროები:

- ყველა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და სამეცნიერო პროექტში;
- ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა შესაბამის დეპარტამენტებში;
- საგამომცემლო და პერიოდული პრესის რედაქციებში მთარგმნელად და სტილისტად
- სამთავრობო და კერძო სტრუქტურების თარჯიმნად და მეცნიერ-ექსპერტად;

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 90-იანი წლებიდან დაფუძნდა ჯერ თარგმანის განყოფილება, ხოლო შემდეგ ენებისა და თარგმანის კათედრა (IV კორპუსი, III სართული), რომელიც ამჟამად აღჭურვილია თარგმანის თეორიაში უნიკალური ბიბლიოთეკით. ბიბლიოთეკა მოიცავს არა მარტო იმ ფუნდამენტურ ნაშრომებს, რომლებიც იქმნებოდა თარგმანის თეორიაში წლების მანძილზე, არამედ იმ თანამედროვე უცხოურ ლიტერატურას, რომელიც დღეს განსაზღვრავს თარგმანმცოდნეობის მდგომარეობას.

რამდენი დოქტორანტის მიღებაა შესაძლებელი - პროგრამა გათვალისწინებულია ორ დოქტორანტზე.